ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7975312

ნომერი: AR11144474

თარიღი : 08.06.2026

გაცემის თარიღი : 23.06.2026

გაცნობის თარიღი : 24.06.2026

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი თელოვანი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ ღვინიანიძე პ/ნ 01008028760
- თბილისი ზაქარია ფალიაშვილის ქ. N 39ა ბ. 27

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საინჟინრო ნაგებობები და კომუნალური ობიექტები
  - ქვესადგური (სატრანსფორმატორო)

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
საპროექტო დოკუმენტაციიდან ამოიღეთ შენობა-ნაგებობის ესკიზი და დატოვეთ მხოლოდ განთავსების სქემა.
1. არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი : წარმოდგენილ იქნას დასკანერებული ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500), შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ სველი წესით დამოწმებული, მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე.
2. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი : წარმოსადგენია განახლებული ფოტომასალა.
3. საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: საინფომრაციო დაფაზე დატანილი ტექსტი წარმოადგინეთ გარჩევადი სახით.
4. ინფორმაცია დაგეგმილი გამწვანების შესახებ (გარდა II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) -> განმარტებითი ბარათი: საკითხი შესასწავლად გადაგზავნილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურსა (წერილის ნომერი 60- 01261743915) და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში (წერილის ნომერი 60- 01261743916). საქმის წარმოების დასრულების შემდეგ პასუხებს მიიღებთ შეტყობინების ველში.
5. ვინაიდან სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევების “ქ, თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში”-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საკვლევი უბანი მდებარეობს საშუალო და მაღალი გეოლოგიური და გეოდინამიკური საფრთხის ზონაში (ძირითადი ქანების დაქანება ფერდობის ქანობის ორიენტაციისაა), ამიტომ კვლევაში საჭიროა რეკომენდაციის სახით, დასკვნებისა და რეკომენდაციების თავში ხაზგასმით განიმარტოს - დამატებითი დამცავი ღონისძიებების გატარება, გარდა კვლევაში ნახსენებისა, ხომ არ არის საჭირო ზემოთ აღნიშნული გეოლოგიური და გეოდინამიკური საფრთხეების და რისკების თავიდან ასაცილებლად და გასანეიტრალებლად.
6. წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.
არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.